დამტკიცებულია

რექტორის 2014 წლის 12 სექტემბრის
№27 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პანსიონის

შინაგანაწესი

ქ. თბილისი

2014 წელი

1.ზოგადი დებულებანი

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (შემდგომში – თსას) პანსიონი წარმოადგენს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიასთან არსებულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს;

1.2. პანსიონით სარგებლობის უფლება აქვს თსას-ის იმ სტუდენტს, რომელსაც საცხოვრებელი არა აქვს თბილისში;

1.3. პანსიონი ფუნქციონირებს მხოლოდ ვაჟებისათვის;

1.4. პანსიონში სტუდენტი საცხოვრებლად მიიღება თსას-ის სულიერი მოძღვრის ლოცვა-კურთხევით. პანსიონში ცხოვრების პერიოდში სტუდენტი იმყოფება უშუალოდ თსას-ის სულიერი მოძღვრის ზედამხედველობის ქვეშ;

1.5. პანსიონში მცხოვრები სტუდენტი ვალდებულია, მასთან ერთად მცხოვრებ ყველა სტუდენტთან აკავშირებდეს ქრისტესმიერი სიყვარული და ძმური ურთიერთობა;

1.6. პანსიონში მცხოვრები სტუდენტი ვალდებულია, გაეცნოს პანსიონის შინაგანაწესს და განუხრელად დაიცვას იგი;

1.7. შინაგანაწესის დარღვევისა და დაბალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში თსას-ის სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, ხოლო ყოფაქცევის, ცხოვრების წესისა და აკადემიური მოსწრების გამოუსწორებლობის შემთხვევაში იგი გაირიცხება პანსიონიდან;

1.8. შინაგანაწესის დარღვევასთან დაკავშირებული დავა თსას-სა და პანსიონში მცხოვრებ სტუდენტს შორის თუ ვერ გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, მაშინ იგი გადაწყდება კანონიკური სამართლის მიხედვით: საეკლესიო იურისდიქციას სრულად მიეკუთვნება სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი, ურთიერთობა პანსიონის სტუდენტებსა და თსას-ს შორის, პანსიონის სტუდენტთა ქცევის წესები; საერო კანონმდებლობა გამოიყენება თსას-ის საქმიანობის მხოლოდ იმ სფეროში, რომლის მოწესრიგება თავისი არსით სცილდება საეკლესიო იურისდიქციის ფარგლებს.

2.სტუდენტის მოვალეობანი

2.1. სტუდენტის საცხოვრებელ ოთახსა და საწოლს განსაზღვრავს თსას-ის სულიერი მოძღვარი;

2.2. სტუდენტს ეკრძალება თვითნებური გადასვლა ერთი საცხოვრებელი ოთახიდან მეორეში;

2.3. პანსიონში მცხოვრები სტუდენტები საცხოვრებელი ოთახების მიხედვით ირჩევენ კეთილმოწესეს;

2.4. საცხოვრებელ ოთახში წამოჭრილ ყველა პრობლემას კეთილმოწესე აგვარებს თსას-ის სულიერ მოძღვართან შეთანხმებით;

2.5. პანსიონში მცხოვრები სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას პანსიონის დღის განრიგი;

ბ) მონაწილეობა მიიღოს პანსიონის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო საქმიანობაში;

გ) დაესწროს დილისა და ძილად მისვლის ლოცვებს;

დ) ტრაპეზზე გამოცხადდეს დანიშნულ დროს;

ე) დაიცვას პირადი ჰიგიენა, წესრიგი და სისუფთავე თავის საცხოვრებელ ოთახში;

ვ) გაუფრთხილდეს პანსიონის ინვენტარს და დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს ზარალი;

ზ) დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების წესები.

2.6. სტუდენტს ეკრძალება:

ა) პანსიონის თვითნებურად დატოვება;

ბ) თსას-ის მოძღვრის ლოცვა-კურთხევის გარეშე ნათესავებისა და უცხო პირთა მიღება საცხოვრებელ ოთახში;

გ) სტუმრის მიღება ღამის გასათევად;

დ) საცხოვრებელ ოთახში ტელევიზორითა და ვიდეომოწყობილობით სარგებლობა, თუ ამით ის დაბრკოლებას შეუქმნის მასთან ერთად ოთახში მყოფთ დასვენებასა და მეცადინეობაში;

ე) საეკლესიო ეთიკისათვის შეუფერებელი ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა, მათი შენახვა;

2.7. არდადეგების დასაწყისში სტუდენტები ტოვებენ პანსიონს. კეთილმოწესე ოთახის გასაღებს აბარებს თსას-ის სულიერ მოძღვარს.

3. სატრაპეზო

3.1. სატრაპეზოს ფუნქციონირებას უზრუნველყოფს თსას-ის სამეურნეო ნაწილი;

3.2. სატრაპეზო ემსახურება პანსიონში მცხოვრებ ყველა სტუდენტს დღეში სამჯერადი კვებით;

3.3. პანსიონში მცხოვრები ყველა სტუდენტი ვალდებულია, დადგენილი განრიგის მიხედვით იმორიგეოს სატრაპეზოში;

3.4. სატრაპეზოში სამორიგეოდ განწესებული სტუდენტი ვალდებულია:

ა) შეასრულოს მზარეულის მითითებები და დაეხმაროს მას ტრაპეზის დროს;

ბ) ტრაპეზართან ერთად მოაგვაროს თავისი მორიგეობის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა;

გ) სატრაპეზოში დაიცვას წესრიგი და სისუფთავე;

დ) ჩაიბაროს სატრაპეზოს ჭურჭელი და გადააბაროს მომდევნო დღის მორიგეს;

ე) მორიგეობის დამთავრების შემდეგ გამორთოს ელექტრომოწყობილობები;

3.5. სატრაპეზოში სამორიგეოდ განწესებული სტუდენტი თავისი მოვალეობის აღსრულების პერიოდში სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ განთავისუფლებულია სხვა მოვალეობისაგან და ვალდებულია, მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდეს სატრაპეზოში.

4. პანსიონის დატოვება სულიერი მოძღვრის ლოცვა-კურთხევის გარეშე აკრძალულია.

მეცადინეობისაგან თავისუფალი დრო სტუდენტმა შეიძლება გამოიყენოს საჭიროებისამებრ (მზადება სემინარებისა და შუალედური შემოწმებისათვის, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობისათვის, ფიზიკური ვარჯიში, დასვენება, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ.).

5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე შინაგანაწესს ამტკიცებს თსას-ის რექტორი;

5.2. შინაგანაწესი ძალაში შედის დამტკიცებიდან მეორე დღეს და მისი შესრულება სავალდებულოა პანსიონით მოსარგებლე ყველა სტუდენტისათვის;

5.3. თსას-ის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს ხელწერილზე საკუთარი ხელმოწერით. ხელწერილი (შინაგანაწესის გაცნობის თაობაზე) თან ერთვის სტუდენტის პირად საქმეს;

5.4. შინაგანაწესის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის სტუდენტი პასუხს აგებს თსას-ში მოქმედი დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესაბამისად;

5.5. შინაგანაწესში ცვლილების შეტანა ხდება თსას-ის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით და მტკიცდება რექტორის მიერ.